2,5 4 -7,95 2,5

თბილისის არქიტექტურა

ბრძანება № 4633

" 14 " 11 2011

14.03.07 წ. ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის №01/571 ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

26.10.11 წელს ქალაქ თბილისის მერიის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს №12/143063-13 განცხადებით მომართა შპს "აქსისი"-ს და შპს „საირმე პალასი"-ს წარმომადგენელმა ნინო ხოსრუაშვილმა და მოითხოვა ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 14.03.07 წლის №01/571 ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანა, კერძოდ: ძველი სკადასტრო ერთეულის (ს/კ: 1/10/15/23/7) გაყოფის გამო ახალი საკადასტრო ერთეულების მითითება.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 14.03.07 წელს ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურმა ქალაქ თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, საირმის ქუჩა №51-ში, შმიდტის ქუჩა №94-ში მრავალფუნქციური კომპლექსის ასაშენებლად დადგინდა №01/571 ქალაქთმშენებლობითი პირობები. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გაცემული იქნა ჯამში 6584.00 კვ/მ ფართობის, №1/10/15/23/7 და №1/10/15/23/6 საკადასტრო კოდების მქონე მიწის ნაკვეთებზე.

განმცხადებლის მიერ სამსახურში წარმოდგენილი იქნა ახალი ამონაწერები საჯარო რეესტრიდან (1. საკადასტრო კოდი: №01.10.15.023.018; განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 882011102617; მომზადების თარიღი: 17.03.2011წ. 2. საკადასტრო კოდი: №01.10.15.023.019; განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 882011437821; მომზადების თარიღი: 09.09.2011წ. 3. საკადასტრო კოდი: №01.10.15.023.006; განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 882011153933; მომზადების თარიღი: 07.04.2011წ.) და საკადასტრო გეგმები (1. საკადასტრო კოდი: №01.10.15.023.018; განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 882011058279; მომზადების თარიღი: 17.02.2011წ. 2. საკადასტრო კოდი: №01.10.15.023.019; განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 882011058279; მომზადების თარიღი: 17.02.2011წ. 3. საკადასტრო კოდი: №01.10.15.023.006; განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 142365-08; მომზადების თარიღი: 16.05.08წ.), რომლის თანახმად №1/10/15/23/7 საკადასტრო ერთეული გაიყო №01.10.15.023.018 და №01.10.15.023.019 საკადასტრო ერთეულებად.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 99-ე მუხლის თანახმად, იმ ობიექტებზე, რომელთა მიმართაც ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე დაწყებულია მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურა ან გაცემულია მშენებლობის ნებართვა, მაგრამ შენობა-ნაგებობა არ არის ვარგისად აღიარებული, გავრცელდება განცხადის შეტანის მომენტისათვის

თბილისის მერიის სსიპ საქალაქო სამართლის იურიდიული პირი
"თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. მარჯანიშვილის 7
ტელ.: (+995 32) 72 22 22 ფაქს.: (+995 32) 37 82 24
architect@tbilisi.gov.ge
urban.tbilisi.gov.ge
უფრო მეტი - tbilisi.gov.ge/architect

მოქმედი კანონმდებლობა. ზემოაღნიშნული ქალაქთმშენებლობითი პირობები გაცემულია არქიტექტურული საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც არქიტექტურული ობიექტის შესაქმნელად დამკვეთს უნდა ჰქონდეს არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალების საფუძველზე შედგენილი პროექტი და მშენებლობის ნებართვა. ამასთან, საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. ქალაქ თბილისის მერის 2009 წლის 9 მარტის №194 განკარგულების თანახმად ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს აქვს დელეგირებული უფლებამოსილება, შეიტანოს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ გამოცემულ აქტებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია ქალაქთმშენებლობით პირობებში შესაბამისი ცვლილების შეტანა.

შესაბამისად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 99-ე მუხლის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების“ შესახებ მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №140 მთავრობის დადგენილების და ქალაქ თბილისის მერის 2009 წლის 9 მარტის №194 განკარგულების თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 14.03.07 წლის №01/571 ქალაქთმშენებლობით პირობებში, კერძოდ: მიწის სარგებლობის დამადასტურებელ საბუთებში 1/10/15/23/7 და 1/10/15/23/6 საკადასტრო ერთეულების ნაცვლად მიეთითოს №01.10.15.023.018; №01.10.15.023.019 და №01.10.15.023.006 საკადასტრო ერთეულები;
2. ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 14.03.07 წლის №01/571 ქალაქთმშენებლობით პირობებს დაემატოს ამონაწერები საჯარო რეესტრიდან (1. საკადასტრო კოდი: №01.10.15.023.018; განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 882011102617; მომზადების თარიღი: 17.03.2011წ. 2. საკადასტრო კოდი: №01.10.15.023.019; განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 882011437821; მომზადების თარიღი: 09.09.2011წ. 3. საკადასტრო კოდი: №01.10.15.023.006; განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 882011153933; მომზადების თარიღი: 07.04.2011წ.) და საკადასტრო გეგმები (1. საკადასტრო კოდი: №01.10.15.023.018; განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 882011058279; მომზადების თარიღი: 17.02.2011წ. 2. საკადასტრო კოდი: №01.10.15.023.019;

განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 882011058279; მომზადების თარიღი: 17.02.2011წ. 3. საკადასტრო კოდი: №01.10.15.023.006; განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 142365-08; მომზადების თარიღი: 16.05.08წ.)

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 14.03.07 წლის №01/571 ქალაქთმშენებლობით პირობებთან ერთად;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის: ჟ. შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

სამსახურის უფროსი არისი ბოჭოიძე